„ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!“

მსოფლიოში 4-ათასზე მეტი ენა და დიალექტია. 14 ანბანთა შორის ქართულ ანბანს საპატიო ადგილი უკავია. ამ თემაზე მოკლე, საჭირო და აუცილებელი მიმოხილვით შემოიფარგლნენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

ჩატარდა ლექცია თემაზე - **„ო, ენავ ჩვენო!“.**

ესტაფეტა სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ჩაიბარეს. მოაწყვეს ქართული ენის ზეიმი. ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მშობლიური ენისადმი მიძღვნილი ცნობილი მწერლების გამონათქვამებისა და პოეტების ლექსების მხატვრულად კითხვაში...

√ „ოცდაექვსი საუკუნის წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს,

ხელნაწერნი განვლილ დროის მოგვითხრობენ გმირთა ამბავს!“

√ აღინიშნა, რომ **„ენა დედაა ერისა“!** ის, რომელმაც ათასწლეულების ქარცეცხლს გაუძლო, იწრთობოდა და ჩვენამდე მოაღწია იმ შეგნებისა და აზროვნების სტიმულით, რაც სამ ღვთიურ სიტყვაში გამოხატა **„საქართველოს უგვირგვინო მეფე“**-დ წოდებულმა ილია ჭავჭავაძემ ---



√ ენას, როგორც გამოხატვის საშუალებათა სისტემას, გარკვეული მიზანდასახულობა აქვს. სწორედაც, რომ მისი წყალობით ვაზროვნებთ, ვურთიერთობთ, ჩვენს აზრებს და შეგრძნებებს ერთმანეთს ვუზიარებთ, შავით თეთრზე გადმოვცემთ ნანახითა თუ გაგონილით მიღებულ შთაბეჭდილებებს.

√ 1978 წელს მთავარ მოედანზე მანიფესტაციის მოწყობის შემდეგ, ქართულ ენას მიენიჭა „სახელმწიფო ენის სტატუსი“.

ქართული მარტო ენაა?!

ქართული ქართველთ რწმენაა

ღმერთია, ბედისწერაა,

ზღვა როა იმოდენაა!

ქართველის ხელში ენას ფუნჯის ფუნქცია უკავია, სწორედ მისი წყალობით ვხედავთ და ვარჩევთ ფერების კორიანტელს. ის ქვესკნელშიც ჩააღწევს, ცამდე ასწვდება, საჭრეთელადაცაა გამოყენებელი ბევრის ხელში... შეიძლება ციხე-სიმაგრეები დაეცეს, პირისაგან მიწისა აღიგავოს ყოველივე, ყველა ხსოვნა მტვრით დაიფაროს, უაზრობად ჩაითვალოს ნაპოვნის პოვნის გამოცდილება, მაგრამ ერთადერთს, რასაც დრო და ჟამი, ვარამი ვერაფერს დააკლებს, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მონაგარი - **ენაა.**

√ „მაგრამ შენ უჭკნობს, შენ ხატად ქცეულს

რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს!“

იმედია, მომავალში არ დაგვჭირდება ირ. აბაშიძის სიტყვების ციტირება, რადგან დღესაც არიან ჩვენს გვერდით თანაკლასელები,..

„ მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,

რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,

ვინც ვერ ახერხებს ქართულად

წერას, კითხვას და ლაპარაკს...“

√ „ილაპარაკეთ ოღონდ ქართულად....

ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ!..“

√ გრიგოლ ორბელიანი, ამბობდა:

„ერის ცხოვრება, მისი ისტორია დაცულ არს ენით... რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირ ქი ტაძარსა წმიდას.“

√ „გულს მისვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა,

მე არც ერთს კილოს არ ვერჩი, თუა ქართველის გვარისა“...

პატივისცემით:

ზანის საჯარო სკოლის დირექტორი რ. კვაშილავა